პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № ---

2022 წლის -----მარტი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ. ბერაძე

შეთანხმებულია ა. ღიბრაძე

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4822059147**
თარიღი: **28/02/2022**
პინი: **4015**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

დანართი თან ერთვის.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

I თავი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	26,270.2	9,338.4	16,931.8	26,963.8	9,573.8	17,390.0
გადასახადები	13,677.1	0.0	13,677.1	14,648.2	0.0	14,648.2
გრანტები	9,612.1	9,338.4	273.7	9,575.3	9,573.8	1.5
სხვა შემოსავლები	2,981.0	0.0	2,981.0	2,740.3	0.0	2,740.3
II. ხარჯები	13,937.9	583.7	13,354.3	12,491.1	506.7	11,984.5
შრომის ანაზღაურება	2,302.0	78.8	2,223.2	2,177.6	66.7	2,110.9
საქონელი და მომსახურება	2,838.0	434.4	2,403.6	2,196.6	365.3	1,831.3
პროცენტი	31.8	0.0	31.8	28.8	0.0	28.8
სუბსიდიები	6,637.1	64.8	6,572.3	6,124.9	71.7	6,053.1
გრანტები	30.9	0.0	30.9	16.4	0.0	16.4
სოციალური უზრუნველყოფა	1,448.5	3.8	1,444.6	1,446.6	3.0	1,443.6
სხვა ხარჯები	649.7	1.8	647.9	500.4	0.0	500.4
III. საოპერაციო სალდო	12,332.2	8,754.7	3,577.5	14,472.7	9,067.1	5,405.5
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	16,395.4	9,092.6	7,302.8	12,085.3	7,681.6	4,403.8
ზრდა	16,759.5	9,092.6	7,666.9	12,562.1	7,681.6	4,880.6
კლება	364.1	0.0	364.1	476.8	0.0	476.8

V. მთლიანი სალდო	-4,063.1	-337.9	-3,725.3	2,387.3	1,385.6	1,001.7
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-4,118.7	-337.9	-3,780.9	2,331.7	1,385.6	946.1
ზრდა	0.0	0.0	0.0	2,331.7	1,385.6	946.1
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			4,663.5	1,385.6	946.1
კლება	4,118.7	337.9	3,780.9	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	4,118.7	337.9	3,780.9	0.0		
VII. ვალდებულებების ცვლილება	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	26,634.3	9,338.4	17,295.9	27,440.6	9,573.8	17,866.8	103.03	102.52	103.30
შემოსავლები	26,270.2	9,338.4	16,931.8	26,963.8	9,573.8	17,390.0	102.64	102.52	102.71
არაფინანსური აქტივების კლება	364.1	0.0	364.1	476.8	0.0	476.8	130.94	0.00	130.94
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.00	0.00	0.00
გადასახდელები	30753.1	9676.2	21076.8	25108.9	8188.2	16920.6	81.65	84.62	80.28
ხარჯები	13937.9	583.7	13354.3	12491.1	506.7	11984.5	89.62	86.81	89.74

არაფინანსური აქტივების ზრდა	16759.5	9092.6	7666.9	12562.1	7681.6	4880.6	74.96	84.48	63.66
ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	100.00	0.00	100.00
ნაშთის ცვლილება	-4,118.7	-337.9	-3,780.9	2,331.7	1,385.6	946.1	-56.61	-410.11	-25.02

ა) საგადასახადო შემოსავლები

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი	პროცენტი
გადასახადები	13,677.100	14,648.164	107.1
დღგ	11,477.100	11,793.794	102.76
ქონების გადასახადი	2,200.000	2,854.370	129.74
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,600.000	1,543.678	96.48
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.000	211.063	0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	10.000	16.350	163.5
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1.000	0.000	0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე	9.000	16.350	181.67
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	190.000	258.787	136.2
ფიზიკურ პირებიდან	140.000	177.514	126.8
იურიდიულ პირებიდან	50.000	81.273	162.55
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	400.000	824.492	206.12
ფიზიკურ პირებიდან	50.000	60.886	121.77
იურიდიულ პირებიდან	350.000	763.607	218.17

ბ) გრანტები

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი	პროცენტი

გრანტები	9 612,1	9 575,3	99,6
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	273,7	289,8	105,8
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9 338,4	9 285,6	99,4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	170,0	171.5	100.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	170,0	170,0	100
სპეციალური ტრანსფერი	0,0	1,5	0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	9 168,4	8 894,4	97,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	8 131,0	8 103,3	99,6
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	704,0	704,0	100
სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსება	333,4	306,8	92,0

გ) სხვა შემოსავლები

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი	პროცენტი
სხვა შემოსავლები	2,981.000	2,740.305	91.926
შემოსავლები საკუთრებიდან	742.678	811.256	109.23
პროცენტები	274.991	314.552	114.39
რენტა	467.687	496.704	106.2
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	418.249	419.501	100.3
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	49.438	77.203	156.16
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,295.485	1,308.612	101.01
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,225.485	1,241.547	101.31
სანებართვო მოსაკრებელი	75.485	79.423	105.22
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,000.000	1,000.000	100

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	150.000	162.125	108.08
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	70.000	67.065	95.807
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	70.000	67.065	95.807
ჯარიმები, სანქციები და საურავები	941.837	476.291	50.57
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	1.000	1.000	100
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.000	143.146	0

ქვეყანაში შექმნილი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მიერ ოთხ მოიჯარეს გადაუვადდა საიჯარო თანხის გადახდა.

დ) არაფინანსური აქტივების კლება

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი	პროცენტი
არაფინანსური აქტივების კლება	364.125	476.803	130.94
ძირითადი აქტივები	10.000	22.134	221.34
მატერიალური მარაგები	0.000	2.805	0
არაწარმოებული აქტივები	354.125	451.864	127.6
მიწა	354.125	451.864	127.6

ძირითადი აქტივების გეგმის გადაჭარბება გამოწვია იმ გარემოებამ, რომ შემოსავალი მოიცავს არამარტო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებების პრივატიზებით მიღებულ თანხას,არამედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონებების პროვატიზებით მიღებულ შემოსავლის გარკვეულ ნაწილს, რომელიც ერიცხება პროცენტულად მუნიციპალიტეტს.

ე) ხარჯები ეკონომიკური მუხლების მიხედვით

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	2,302.0	2,177.6	94.6
საქონელი და მომსახურება	2,838.0	2,196.6	77.4
პროცენტები	31.8	28.8	90.4
სუბსიდიები	6,637.1	6,124.9	92.3
გრანტები	30.9	16.4	52.9
სოციალური უზრუნველყოფა	1,448.5	1,446.6	99.9

სხვა ხარჯები	649.7	500.4	77.0
ხარჯები სულ	13,937.9	12,491.1	89.6

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	16759,5	12562,1	75
არაფინანსური აქტივების ზრდა	*16759,5*	*12562,1*	*75*

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

ორგ. კოდი	დასახელება	2021 წლის ბიუჯეტი	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი	პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	334.5	264.9	79.2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14,479.7	11,359.8	78.5
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	361.9	144.5	39.9
04 00	განათლება	520.5	368.2	70.7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	1,012.9	380.3	37.5
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	50.0	44.4	89.0

ზ) ვალდებულებები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
საშინაო	55.6	55.6	100.00
ვალდებულებების კლება	*55.6*	*55.6*	*55.6*

ვალდებულებების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს

შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის დაფარვას. შესაბამისად 2021 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენდა 394.0 ათ ლარს, 2021 წელს (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) ვალი შემცირდა 83.7 ათ. ლარით. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის ვალი 2022 წლისათვის შეადგენს 310.5 ათ. ლარს.

თ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი	პროცენტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3,720.1	3,241.9	87.15
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,666.4	3,227.8	88.04
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,332.1	2,962.2	88.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	334.3	265.6	79.44
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	27.5	14.1	51.25
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	26.1	0.0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	13,013.3	10,124.5	77.8
7045	ტრანსპორტი	12,002.8	9,263.3	77.18
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	12,002.8	9,263.3	77.18
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,010.5	861.1	85.22
705	გარემოს დაცვა	1,761.7	1,523.3	86.47
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	370.2	339.1	91.59
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1,391.4	1,184.2	85.1
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3,903.4	3,205.7	82.13

7061	ბინათმშენებლობა	574.0	352.4	61.4
7063	წყალმომარაგება	1,080.4	877.5	81.22
7064	გარე განათება	755.6	717.7	94.99
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,493.4	1,258.1	84.24
707	ჯანმრთელობის დაცვა	131.8	119.1	90.37
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	131.8	119.1	90.37
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3,152.6	2,377.4	75.41
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,734.0	1,095.5	63.18
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,314.4	1,187.9	90.37
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	4.3	4.0	92.96
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	100.0	90.0	90
709	განათლება	3,151.7	2,622.2	83.2
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,700.0	2,238.2	82.9
7092	ზოგადი განათლება	451.7	384.0	85.01
70923	საშუალო ზოგადი განათლება	451.7	384.0	85.01
710	სოციალური დაცვა	1,862.9	1,839.2	98.73
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	604.2	596.8	98.76
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	604.2	596.8	98.76
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	2.0	1.0	50
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	106.0	105.6	99.62
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1,150.6	1,135.8	98.71
	სულ	30,697.5	25,053.3	81.61

ი) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

2021 წლის დასაწყისში არსებული ნაშთიდან 4 253 662 ლარიდან, მერის ბრძანებით 241 958 ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებისათვის, მოხდა ქონების შემცირების კომპესირება 400 000 ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ვალდებულებები განისაზღვრა 2 139 588 ლარი, 2020 წლის გარდამავალი პროექტები, რომელთა ტენდერები გამოცხადდა 2020 წელს - 270 772 ლარი.

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 25 108,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (30 753,1) 81,6 პროცენტია.

1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 3 297,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (3 775,7 ათასი ლარი) 87,3 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 754,3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 2170,4 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 93,1 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 88,9 ათასი ლარი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-195,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 184,4 ათასი ლარი. მათ შორის:

№	თარიღი	ბრძან. №	ბრძანების საგანი	გამოყოფილი თანხა
1	23.02.2021	48.48210549	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან კოვიდ - 19 -ის ფარგლებში ანტიგენის, პისიარ ტესტის ასაღებად საჭირო სხვადასხვა ტიპის ჰიგიენური დაცვის საშუალებების შეძენისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	2526
2	06.04.2021	48.482109617	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	6750

3	07.04.2021	48.48210972	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარების სახით ნინო ჯიშკარიანისათვის ბინის ქირის თანხის გამოყოფის შესახებ	1800
4	08.04.2021	48.48210983	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან იმერეთის მთასვლელთა და მეკლდეურთა ფედერაციისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	4200
5	21.04.2021	48.48211117 ცვლილება 48.482111813	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან კოვიდ - 19 -ის ფარგლებში ანტიგენის, პისიარ ტესტის ასაღებად საჭირო სხვადასხვა ტიპის ჰიგიენური დაცვის საშუალებების შეძენისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	3000
6	27.04.2021	48.48211174	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტისმოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	16500
7	27.04.2021	48.48211175	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა მკურნალობისათვის შპს მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი და ინფექციური დაავადებათა მართვის ცენტრისათვის	440
8	27.04.2021	48.482111812	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	3700
9	02.06.2021	48.48211531	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან შპს ,,ჰადესისათვის“ თანხის გამოყოფის შესახებ	690
10	04.06.2021	48.482115515	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	27350
11	25.06.2021	48.482117619	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა სოციალურად აქტიური ახალგაზრდებისა და სტუდენტების პროექტში ,,ქართული კულტურის დღეები მესტია 2021"	2976
12	25.06.2021	48.482117621	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	25700

13	22.07.2021	48.48212039	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	16650
14	09.08.2021	48.482122116	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	6690
15	30.08.2021	48.48212427	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	10000
16	15.09.2021	48.482125313	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	6830
17	16.09.2021	48.48212593	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	7050
18	23.09.2021	48. 48212661	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	13330
19	30.09.2021	48.48212737	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	12700
20	24.12.2021	48.48213588	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	15550
			სულ ჯამი:	**184432**

1) **ინფრასტრუქტურის განვითარება** (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 13 471,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 80 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი	პროცენტი

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	16 871,6	13 471,6	79,8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	12 002,8	9 263,3	77,2
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	11 737,1	9 036,6	77,0
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	179,0	143,7	80,3
02 01 04	ხიდების და ბოგირების მშენებლობა	86,7	83,0	95,8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 450,7	1 216,6	83,9
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	370,2	339,1	91,6
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	1 080,4	877,5	81,2
02 03	გარე განათება	755,6	717,7	95,0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	647,7	647,4	99,9
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	107,9	70,3	65,2
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	49,3	12,7	25,8
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	450,6	339,7	75,4
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 152,2	1 060,3	92,0
02 06 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	74,0	0,0	0,0
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	260,4	250,7	96,3
02 06 04	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება	817,8	809,6	99,0
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	759,7	747,0	98,3
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	51,0	43,8	85,9
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	199,8	70,4	35,2

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მდინარეებზე ხიდ-ბოგირების

მოწყობა, რეაბილიტაცია. ასევე საჭიროების შემთხვევაში გზის თოვლის საფარისგან გაწმენდა, ორმოული შეკეთება და სტიქიისა შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

2021 წლის განმავლობაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგფ-ის დაფინანსებით დაიგო ადგილობრივი მნიშვნელობის 25 კმ სიგრძის გზა, კერძოდ:

სოფ. გეგუთში გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია;
სოფ. ბანოჯაში 26-ე ქუჩის და სოფ.ხომულში სახერხის უბანსა და წმინდა გიორგის ტაძართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
სოფ. წყალტუბოში მე-10 ქუჩის და სოფ.გვიშტიბში 35-ე ქუჩის, ასევე ბეკნარას უბნის გაგრძელებაზე გზის რეაბილიტაცია;
სოფ. ფარცხანაყანევში კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
სოფ. წყალტუბოში მე-2 უბნის და სოფ. ჩუნეშის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია;
სოფ. ქვილიშორში გზის რეაბილიტაცია;
სოფ. მუხიანში ბერძენაძეების უბანში გზის რეაბილირტაცია;
სოფ. წყალტუბოში მაჭარაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია;
სოფ. მუხიანში სულაკაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია;
სოფ. გეგუთში გიგიაძეების და მაჩალაძეების უბნებში გზის რეაბილიტაცია;
სოფ. ფარცხანაყანევში 29-ე ქუჩის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია;
ქალაქ წყალტუბოში ჭავჭავაძის ქუჩა #10, დედაენის ქ. #9 და ბესიკის ქ. #1 ბინასთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია;
ქალაქ წყალტუბოში გოგებაშვილის ქუჩა #2 და #2ა ბინებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია;
სოფ. ქვიტირში მე-17 ქუჩის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია;
სოფ. ოფშკვითში ინანეიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია;
სოფ. ოფშკვითში კაპანაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია;
სოფ. ოფშკვითში მარგველაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია;
სოფ. ქვიტირში ბაბუნაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია;
სოფ. თერნალში ბზიკაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია;
სოფ. გვიშტიბში ბეკნარას უბანში გზის რეაბილიტაცია;
ასევე მაღალმთიანი სოფლების განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სოფ. ლეხინდრისთავში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ორი პროექტი: თამარ მეფის ქუჩაზე შპს ჰერბიასთან მისასვლელის გზის ასფალტო ბერტონით რეაბილიტაცია და ქ.წყალტუბოში ცივი ტბის მიმდებარედ საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა.
ადგილობრივი დაფინანსებით განხორციელდა შემდეგი გზების რეაბილიტაცია:

ქალაქ წყალტუბოში სამაკაშვილის ქუჩის მეორე ჩიხში და აკ. შანიძის ქუჩის #4 ბინის მიმდებარედ, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. საყულიაში გზების რეაბილიტაცია.
ქალაქ წყალტუბოში ქუთაისის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია;
სოფ. წყალტუბოში მე-8 ქუჩაზე გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია;
სოფ. წყალტუბოში იმერეთის ქუჩის გაგრძელებაზე გზის ასფალტობეტონის საფარით რეაბილიტაცია;
სოფ. ქვიტირში მე-5 ქუჩაზე გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია;
სოფ. ფარცხანაყანევში ამაღლების უბანში #60 ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია.
ქალაქ წყალტუბოში გოგებაშვილის ქუჩა #2ბ სახლის მიმდებარედ, ასევე სოფლების:პატრიკეთის და გეგუთის დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია.
სოფ. ცხუნკურში ხიდ-ბოგირის მოწყობა.

გ) წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

წყლის სისტემების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. პროგრამა ასევე მოიცავს სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციასა და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას.

2021 წლის განმავლობაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

სოფ. რიონში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია;

სოფ. ყუმისთავში, ცხუნკურსა და ზედა ხომულში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა;

სოფ. ქვედა ქვილიშორში წყალგაყბანილობის სისტემის მოწყობა;

ქალაქ წყალტუბოში თბილისის, გორგასლის, ყაზბეგის, ჭონქაძის ქუჩებზე სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და გამსახურდიას ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობა.

შუალედური შედეგი

- გაუმჯობესდა მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობა.

გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება.

2021 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით განხორციელდა შემდეგი:

სოფ. მუხიანში გარე განათების ქსელის მოწყობა;

სოფ საყულიასა და ტყაჩირში გარე განათების ქსელის მოწყობა;

შუალედური შედეგი:

გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

დ) ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის ფარგლებში მოხდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში და სამხატვრო გალერიაში ოთახების სარემონტო სამუშაოები; ქ. წყალტუბოში, კოსტავას ქ #4 ბინის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა - ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია;

ე) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და *ფასადების რეკონსტრუქცია,* რეაბილიტაცია,რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, განათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა, პარკეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია. კერძოდ:

ქალაქ წყალტუბოში ბარათაშვილის #14, ბესიკის #5, ტაბიძის #19, დედა ენის #13, რუსთაველის ქ #1 ჩიხის #1 საცხოვრებელი კორპუსის, ჭავჭავაძის #8 საცხოვრებელი კორპუსების შეკეთებითი სამუშაოები.

შუალედური შედეგი:

უბნების კეთილმოწყობა და მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება

ვ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია,
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება;

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამით ხორციელდება სკვერებისა და ატრაქციონების მოწყობა; 2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ტყაჩირში მოეწყო სასაფლაოს ღობე; განხორციელდა წყალტუბოს პარკში არსებული საპირფარეშოს რეაბილიტაცია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება- ქვეპროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება“ ახორციელებს, შემდეგ ღონისძიებებს: გარე განათების,

დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიაღვრე არების გაწმენდას, მოვლა-პატრონობას, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობას; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა;

გარე განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების მიზნით აღდგენითი სამუშაოები შესრულდა შემდეგ სოფლებში: რიონი, გუმათი, დღნორისა, დერჩი, ფარცხანაყანევი, მაღლაკსა და ქალაქის ტერიტორიებზე.

შეძენილია დეკორატიული ხელოვნური ყვავილები ქალაქის ტერიტორიაზე განთავსების მიზნით, აგრეთვე სპეც. ტექნიკის მიერ სისტემატიურად ხდება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა.

ზ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 07)

სოფლის მხარდაჭერი სპროგრამის ფარგლებში 2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 704 000 ლარი, თანდაფინანსება 42 000 ლარი.

ამ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს სხვადასხვა სოფლებისთვის შეძენილი იქნა სამშენებლო და დამხმარე მასალები; შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო მზა ბეტონი; მოეწყო სასმელი წყლის ქსელები და გარე განათებები; სანიაღვრე არხები; შეკეთდა სპორტული და სააქტო დარბაზები.

თ) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა (პროგრამული კოდი 02 08)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

შუალედური შედეგი:

ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება.

ი) სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 09)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურლი პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

შუალედური შედეგი:

შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1381,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 76,5 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1033,3 ათასი ლარი მოხმარდა

მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, უპატრონო ცხოველების ოპერირებას 53,3 ათასი ლარი, საგრანტე პროგრამა ,,თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის" 213,2 ათასი ლარი, ხოლო ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენას 82,1 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 806,7	1 381,9	76,5
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	53,3	53,3	100,0
03 03	დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	1 050,9	1 033,3	98,3
03 04	საგრანტე პროგრამა ,,თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის"	618,5	213,2	34,5
03 05	ნაგავშემკრები კონტეინერი	84,0	82,1	97,7

ა) უპატრონო ცხოველების ოპერირება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ოპერირება.

გ) დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 03)

დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა- რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება“ ყოველდღიურად ახდენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას; 5 საბუნკერე და 2 თვითმცლელი სპეცავტომანქანით ეწევა მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების დაგვა-დასუფთავებას, ანახვეტისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ქალაქგარეთ სპეციალურ ნაგავსაყრელზე გატანას. 2021 წელს დამატებით 100 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი განაწილდა ქალაქის ტერიტორიაზე, ხოლო ახდგენილია 37 ურნა რომელიც განაწილდა ასევე ქალაქის ტერიტორიაზე.

შუალედური შედეგი

გაუმჯობესებული სანიტარული პირობები.

გ) საგრანტე პროგრამა ,,თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის" (პროგრამული კოდი 03 04)

პროექტის ფარგლებში ხორციელდება მნიშვნელოვანი საქმიანობა ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ევროკავშირის წარმატებული გამოცდილების გაზიარების გამოყენებით. პროექტი ასევე ითვალისწინებს ღონისძიებებს გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით და სხვა თანმხლევი ღონისძიებები.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა პლასმასის შესაგორვებელი 60 ერთეული 1100 ლიტრიანი კონტეინერის შეძენა, ქაღალდის კონტეინერი 50 ერთეული. პანდემიიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა (საგაზაფხულო ბანაკების ორგანიზება, მივლინებები პატრნიორ ქვეყნებში, საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება) .

შუალედური შედეგი:

გაუმჯობესებული მწვანე გარემო.

დ) ნაგავშემკრები კონტეინერი (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 36 ერთეული 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერის შესყიდვა. აგრეთვე მოხდა წინა წლის გარდამავალი ვალდებულების ანაზღაურება.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2021 წლის განმავლობაში დაფინანსდა 2 622,2 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 3151,7 ათასი ლარი, 83,2 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2238,2 ათასი ლარი, ხოლო საჯარო სკოლების დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 384,0 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების პროცენტი
04 00	განათლება	3 151,7	2 622,2	83,2
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2 700,0	2 238,2	82,9
04 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	451,7	384,0	85,0

ა) საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 24 სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებაში რეგისტრირებულია 1700 აღსაზრდელი. დაფინანსდა აღსაზრდელთა დღეში სამჯერადი კვება და 1 წახემსება. თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯმა დღეში საშუალოდ 2,15 ლარი შეადგინა.

2021 წელს ჩატარდა სოფ. რიონის საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვითი სამუშაოები; ჩატარდა სოფ. ოფურჩხეთის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები; შეძენილი იქნა საბავშვო ბაღის სამზარეულოს ინვენტარი და საოჯახო ტექნიკა; შეძენილია რბილი ინვენტარი (ლეიბები, ბალიშები, საბნები და სხვ); ზამთრის სეზონზე შეძენილია სოფლებში განთავსებული საბავშვო ბაღებისათვის სამერქნე შეშა.

შუალედური შედეგი

სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

ბ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02)

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში შეუფერხებლად ხორციელდებოდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება, რისთვისაც მუნიციპალიტეტის მერიას და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშკერულების შესაბამისად გაწეულია 264,8 ათასი ლარის ხარჯი.

საჯარო სკოლებისთვის გამოყოფილი დაფინანსებით 75,0 ათ. ლარით საანგარიშო პერიოდში სოფ. გვიშტიბის, სოფ.უკანეთის, ქ. წყალტუბოს #1,#2 და #3 საჯარო სკოლებში განოხრციელდა სხვადასხვა სახის მცირე სარეაბილტიაციო სამუშაოები.

5. კულტურა, რელიგია,ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი ღონისძიებებზე გაწეული იქნა 2377,4 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 3152,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 75,4 პროცენტია. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1095,5 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარებას - 1277,9 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერას - 4,0 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების პროცენტი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	3 152,6	2 377,4	75,4
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 734,0	1 095,5	63,2
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	40,2	36,3	90,2
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 693,8	1 059,2	62,5
05 01 02 01	წყალტუბო არენა	140,0	139,6	99,7
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	565,0	538,1	95,2
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	988,8	381,5	38,6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 414,4	1 277,9	90,3
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 250,5	1 132,8	90,6
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	500,5	453,7	90,6
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	650,0	598,9	92,1

05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	100,0	80,2	80,2
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	63,9	55,1	86,2
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0	90,0	90,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	4,3	4,0	93,0

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

